ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 14

ქ. ქუთაისი 15 თებერვალი 2021 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის დავით წიტაიშვილის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ შპს „ორგსერვისი", წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა #51; ს/ნ 212693851; (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის დანართი #1_ში მითითებული სხვადასხვა საკანცელარიო საქონლის შესყიდვა. (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1 065.60 (ათასსამოცდახუთი ლარი და 60 თეთრი) ლარი. დღგ-ს გათვალისწინებით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დავით წიტაიშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის #5/2

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 20 თებერვლამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით.

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს2021 წლის 30 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“
მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3
საიდენტიფიკაციო კოდი 412675396
ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი:
დავით წიტაიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ორგსერვისი“
მის: ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის51/2ა
ს/კ 212693851
თი ბი სი ბანკი
ა/ა GE32TB0300000030467356
დირექტორი:
ხვიჩა ნემსაძე

NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries

Digitally signed by NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Date: 2021.02.15 12:43:28 +04'00'

ფასების ცხრილი

დანართი #1

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ ფასი	სულ ფასი	cpv
საქაღალდე რეზინით პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 31633	10	2.2	22	22851000
ბლოკნოტი უჯრა A5 25-50 6927631708140	20	7.8	156	22816100
სკოჩი გამჭვ. 15მმ*30მ პატარა	20	0.4	8	30192000
მარკერი ტექსტის მოსანიშნი AXENT 2531-08-A, 1-5მმ. ყვითელი	10	0.9	9	30192125
მარკერი ტექსტის მოსანიშნი AXENT 2531-04-A, 1-5მმ. მწვანე	10	0.9	9	30192125
გამომთვლელი PAPIRUS OPTIMA 75531	5	28	140	30141000
კონვერტი დიპლომატი თეთრი 110გრ.	50	0.1	5	30199230
კონვერტი A6 თეთრი P&S 80გრ. თხელი	50	0.1	5	30199230
ფაილი AXENT A4+ D1005 პრიალა 30მკ 100ც.	60	5.9	354	22852100
წებო მშრალი PAPIRUS OPTIMA 15გრ. 45214	24	1.4	33.6	30192000
ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1702001006KK 3B-1 წითელი	30	0.3	9	30192130
კალამი ბურთულიანი PAPIRUS ECONOMIX 10104 Mercury	100	0.35	35	30192121
კალენდარი კედლის კვარტალური	10	5.5	55	30199792
საქაღალდე ბაინდერი DEKO A4 ფართე	50	4.5	225	22851000

ჯამი

1065.6 ლარი